

ვამტკიცებ:

შეთანხმებულია:

ძიუდოს სპორტული კლუბი
ლიდერი (ს/კ 406091893)
დირექტორი:

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია
გენერალური მდივანი

.....
ა. მამუკიშვილი

.....
გ. ათაბეგაშვილი



ლიდერის თასი

მე-III საერთაშორისო ტურნირი 2005-2006-ში და 2007-2008წ-ში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
მიზნები და ამოცანები

1. შეჯიბრი მიზნად ისახავს ძიუდოს პოპულარიზაციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.
2. ძიუდოს განვითარებას და ოსტატობის ამაღლებას ჭაბუკ ძიუდოისტებში.

შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი:

შეჯიბრება ჩატარდება 2018 წლის 12-13 მაისს ქ. თბილისში, ც. დადიანის 134 (ნახალოვკა, მართვეს დარბაზი).

აწონვები:

11-12 მაისი – შეჯიბრების წინა საღამოს 17:00-19:00.

12-13 მაისი – დილის 07:30-დან 09:30-მდე ორივე დღეს.

12 მაისი – წონითი კატეგორიები 2005-2006: 30კგ; 34კგ; 38კგ; 42კგ; 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; +66კგ.

13 მაისი – წონითი კატეგორიები 2007-2008: 24კგ; 27კგ; 30კგ; 34კგ; 38კგ; 42კგ; 46კგ; 50კგ; 55კგ; +55კგ;

ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 11 მაისი, წასვლის დღე – 14 მაისი.

დასაწყისი 11 საათზე

შეჯიბრების ორგანიზატორი არის ძიუდოს სპორტული კლუბი ლიდერი. შეჯიბრებას მოემსახურება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია.

შეჯიბრების ჩატარების სისტემა:

შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში ძიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით. ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეჯიბრების ჩატარების ხარჯები:

სამივლინებო ხარჯებს (გზა, სასტუმრო, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები. შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი.

სასტარტო გადასახადი თითოეულ სპორტსმენზე შეადგენს 10 ლარს.

დაჯილდოება :

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

დებულება ითვლება ოფიციალურ მოწვევად.

ტურნირზე იასპარეზებენ მოწვეული ქვეყნები: უკრაინა, სომხეთი, სლოვენია, აზერბაიჯანი, ჰოლანდია, რუსეთი და სხვა.

საკონტაქტო ტელეფონი: 593 99 88 83 ალექსანდრე მამუკიშვილი

შეჯიბრებაზე სპორტსმენტათვის დასაშვებია ზედმეტი 500 გრამი.

ტურნირის შემდგომ 2018 წლის 14 მაისს 11:00 საათზე ბელიაშვილის №5-ში ძიუდოს აკადემიაში გაიმართება ერთობლივი ვარჯიშები.